ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარეს
ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ 2015 წლის 9 თვის ანგარიშს.

საკრებულოს სხდომებში კომისიებსა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

2015 წელს ჩატარებული 25 სხდომიდან ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის '' დასწრების რაოდენობა შეადგენს 24.
2015 წელს ჩატარებული 39 ბიუროს სხდომიდან დასწრების რაოდენობა შეადგენს 36.
2015 წელს ჩატარებული ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 43 სხდომიდან, დასწრების რაოდენობა შეადგენს 40.
2015 წელს ჩატარებული სარევიზიო კომისიის 19 სხდომიდან, დასწრების რაოდენობა შეადგენს 17.
2015 წელს ჩატარებული ურბანული დაგეგმარებისა საქალაქო მეურნეობის კომისიის 36 სხდომიდან, დასწრების რაოდენობა შეადგენს 35.
2015 წელს ჩატარებული ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 19 სხდომიდან, დასწრების რაოდენობა შეადგენს 18.
2015 წელს ჩატარებული განათლებისა და კულტურის 31 კომისიის სხდომიდან, დასწრების რაოდენობა შეადგენს 29.
2015 წელს ჩატარებული ჯანმთელობის დაცვის და სოციალური კომისიის 23 სხდომიდან დასწრების რაოდენობა შეადგენს 20.

2015 წელს ჩატარებული ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ 30 სხდომიდან, დასწრების რაოდენობა შეადგენს 30-ს და თითოეულ სხდომას ახლავს სხდომის შემაჯამებელი ოქმი.

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:

ფრაქციის სახელზე 2015 წლებში სულ შემოსულია 148 წერილი, რომელიც შემდგომ გადანაწილდა დეპუტატების მუშაობის სფეროების შესაბამისად.
მოცემული რაოდენობიდან 45 ეხებოდა სოციალურ საკითხებს;
ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის საკითხებს - 65;
განათლებას და კულტურას - 7;
მიწის ლეგალიზაციის საკითხებს - 10;
ურბანული დაგეგმარების საკითხებს - 8;
იურიდიულ საკითხებს - 13;
ფრაქციის მიერ ინიცირებული 78 წერილიდან დაკმაყოფილდა 24, აღმასრულებელი ხელისუფლების სამსახურების მიერ უარყოფილი (არარეაგირებული) იქნა 3, 2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება 15, ნაწილობრივ დაკმაყოფილებული (რომელიც შემდგომში მოითხოვს მოქალაქეთა მიერ ამხანაგობების შექმნას, რათა მოხდეს მათი სრულად დაკმაყოფილება ან მუშა პროცესშია) - 39.
2014-2015 წელს განხორციელდა 110 ამომრჩეველთან და ამომრჩეველთა ჯგუფთან შეხვედრა. გასაუბრების შემდეგ შეძლებისდაგვარად მოხდა დახმარების გაწევა (გადამისამართება, რეკომენდაციის გაწევა, შუამდგომლობა, პრობლემის განხილვა-მოგვარება და ა.შ).

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია:

2014-2015 წელს სხვადასხვა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებიდან ოფიციალურად გამოთხოვილი მასალების რაოდენობა შეადგენს 41 წერილს.

მიმდინარე წელს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ თბილისის მერიის გამწვანებისა და შესყიდვების სამსახურების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე ფრაქციის წევრებმა ბოლო დროს დედაქალაქის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერების ირგვლივ

არსებულ დარღვევებსა თუ კითხვის ნიშნებზე ახსნა-განმარტებები მოისმინეს. შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს 2014 წლის, ოქტომბერში შპს „მწვანე სახლთან" გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თბილისის მერიამ 400 ათასამდე ყვავილის ჩითილის შეძენისათვის უპრეცედენტოდ მაღალი ღირებულების 185 600 ლარის ხელშეკრულება გააფორმა, მაშინ როდესაც წინა წლებში მერია ყვავილების შეძენას გაცილებით უფრო იაფად ახერხებდა. ტენდერი შპს „ მწვანე სახლმა" უკონკურენტოდ მოიგო. აღსანიშნავია, რომ მერიამ ხელშეკრულება ფირმას დაუკონტრაქტა ფასით, თითო ჩითილი (სულ 372 750 ცალი) 50 თეთრი, მაშინ როცა კომპანია იგივე ჩითილს საცალო ვაჭრობაშიც 50 თეთრად ყიდიდა. გარდა ამისა „ მწვანე სახლი" 2013 წელს იგივე ჯიშის ყვავილებს ტენდერის მეშვეობით მერიას 30 თეთრად სთავაზობდა. ხოლო ბათუმის მერიას კი 2012 წელს 35-40 თეთრად მიყიდა, 2013 წლის თებერვალში 5 თეთრადაც მიყიდა, 2014 წელს იგივე ბათუმის მერიამ იგივე ჩითილები 35 -36 თეთრად შეიძინა. დედაქალაქმა კი გალამაზებისთვის თითო ჩითილში ყველაზე მაღალი, არარეალური ფასი 50 თეთრი გადაიხადა.

განვლილ პერიოდში შეხვედრა შედგა მერიის სატრანსპორტო სამსახურთანაც, დედაქალაქში არსებულ პრობლემატიკაზე აზრთა-გაზიარების და გადასაწყვეტი გზების გამონახვის კუთხით. გამოითქვა მრავალი წინადადება, რომელთა გატარება ცხოვრებაში დადებით ზეგავლენას მახდენს დედაქალაქის სატრანსპრტო პრობლემატიკის გადაჭრაში. მათ შორის: ყვეთელი ამორტიზირებული ავტობუსების შეცვლის, ე.წ. სამარშრუტო ავტობუსების გაზზე გადაყვანის საშიშროების პრობლემაზე, კერძო ტაქსის მძღოლთა აღრიცხვიანობის დაწყებასა და მოგვარებაზე. სამწუხაროდ არც ერთი ეს პრობლემატიკა მოგვარებული არ არის.

გარემოს დაცვა- ეკოლოგია:

ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა" გარემოს დაცვისა და მწვანე საფარის გადარჩენის საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. ფრაქციის წევრები მოსახლეობასთან ერთად მუდმივად ჩართულები არინ, მსგავსი პრობლემის გამოვლენის თუ მისი გადაჭრის გზების ძიებაში. მაგალითისათვის, „გაერთიანებული დემოკრატები" მოსახლეობის გვერდით იდგნენ, როდესაც თამარაშვილის 13-ში ხეების მასობრივი ჭრა დაფიქსირდა. ოპოზიციისა და მოსახლეობის აქტიური პროტესტიდან გამომდინარე ადგილობრივმა ხელისუფლებამ

განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება დაიწყო. ოპოზიციისა და საზოგადოების აქტიურობის შედეგად ფარნავაზ მეფის სახელობის სკვერსა და ვაკის პარკში სასტუმროების მშენებლობა შეჩერდა. „გაერთიანებული დემოკრატების" დახმარებით ნუცუბიძის ქუჩაზე სარეკრეაციო ზონის სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით მომზადდა საჩელი, რომელსაც საქალაქო სასამართლო განიხილავს. გერგეთის ქუჩისა და ასათიანის 10-ში მიმდინარე უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით საპროტესტო აქციებთან ერთად ფრაქციის სახელზე ათობით წერილი დაიგზავნა სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურებში. გარდა ამისა ასათიანის 10-ის ირგვლივ მოსახლეობამ 2 სასამართლო სარჩელი მოიგო: ა) ხეების უკანონო მოჭრა დადასტურდა და გამოძიებამ დამნაშავე პირი უნდა გამოავლინოს; ბ) თბილისის მერიამ უკანონო მშენებლობის ნებართვა უნდა გააუქმოს. მიუხედავათ სასამართლოს გადაწყვეტილებებისა, მერია მის განჩინებას არ, ან ვერ ასრულებს. აღნიშნულ მისამართზე მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობა და მწავანე საფარის განადგურება კვლავ გრძელდება.

საზოგადოებისა და ოპოზიციის აქტიურობის ფონზე, ყაზბეგის ქუჩაზე „წითელი ბაღის" მოპირდაპირე მხარეს ერთ-ერთი რეკრეაციული ზონა გაჩეხვას და მის ადგილზე კორპუსის აშენებას გადაურჩა, თუმცა მერიამ, ინვესტორს, კიდევ უფრო, სადაო მიწის ნაკვეთი შესთავაზა პეკინის 34-ში. გამოყოფილ ტერიტორიაზე, საცხოვრებელ კორპუსებს შორის საბავშვო ბაღი უნდა დაინგრეს და მის ადგილზე მრავალსართულიანი კორპუსი აშენდეს. მშენებლობის პროცესში გაიჩეხება მრავალწლოვანი ხეებიც. ადგილობრივი მოსახლეობა მერიის გადაწყვეტილებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება, ვინაიდან ფართობის სიმცირის გამო ახალი კორპუსი ვერც ავტომობილების ნაკადს დაიტევს და არც მოსასვენებელი პარკისთვის დარჩება ადგილი. „გაერთიანებული დემოკრატები" ამ შემთხვევაშიც მოსახლეობის პოზიციის დასაცავად აქტიურად იბრძვიან და ეს საკითხი არა ერთხელ დააყენეს საკრებულოს სხდომებზე.

იმ ფონზე, როდესაც დედაქალაქში ჰაერის დაბინძურება კრიტიკულ ნიშნულს დიდი ხანია ასცდა, გაიზარდა დაავადებების მატების სტატისტიკა, დედაქალქში ყოველდღიურად მცირდება სარეკრეაციო და მოსასვენებელი ადგილები, „გაერთიანებული დემოკრატები" გამოვდივართ ინიციატივით დედაქალაქის მერიამ იპოდრომის ტერიტორია გამოისყიდოს და იქ მოეწყოს დასასვენებელი პარკი, რათა ადამიანებს არ წავართვათ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ტერიტორიას რეკრეაციული ზონა

1 სტატუსი აქვს და მფლობელს შ.პ.ს. „ინვესტ კაპიტალს“ იქ ყველანაირი მშენებლობის უფლება აქვს აკრძალული.

საბურთალოს რაიონის გარდა, მუნიცალიტეტის საკუთრებაა გლდანში ე. წ. „პატარა ტბის“ მიმდებარე ტერიტორია, რომელსაც რეკრეაციული ზონა 2-ის სტატუსი აქვს და რომელიც ამ დროისთვის „ჭაობად და ნაგავსაყრელად“ არის ქცეული. მიმდებარე ტერიტორიაზე კი მოსახლეობას არავითარი პარკი არ გააჩნიათ, მივმართავთ თბილისის მერიას მოაწესრიგოს ეს ტერიტორია და გასხვისების ნაცვლად იქ მოსასვენებელი პარკის პროექტი განახორციელოს.

საგზაო მოძრაობა, გზები, ინფრასტრუქტურა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი:

საგზაო მოძრაობა ეს ის თემაა, რომელსაც „გაერთიანებული დემოკრატები“ ყოველდღიურად ეხმიანებიან და მერიას საცობების პრობლემის გადაჭრის ხედვასაც სთავაზობენ. ფრაქციის წევრის შალვა ოგბაიძის ინიციატივის მიხედვით აუცილებელია, სასწრაფოდ შეიქმნას უწყებათაშორისი მაკოორდინირებელი ორგანო, რომელიც სწრაფად მოახდენს კონკრეტული საცობის იდენტიფიცირებას და პრობლემის დროულად გადაჭრა. ეს ყველაფერი კი დამატებითი საბიუჯეტო ასიგნებების გარეშე, არსებული ბიუჯეტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. დეპუტატმა ასევე დააყენა ინიციატივა, თბილისის მერიამ მოითხოვოს საწვავისა და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის განხორციელება, ვინაიდან დედაქალაქში მწყობრიდან გამოსული თუ ახალი ავტომობილების რაოდენობის ზრდისა და მწვანე საფარის განადგურების პარალელურად იმატა, ჰაერის კატასტროფულმა დაბინძურებამ და მისგან გამოწვეულმა სხვადასხვა დაავადებებმა.

სწორედ ამიტომ, ფრაქციის ინიციატიით აუცილებელია, მოხდეს ელექტო ავტომობილების შემოყვანაზე სხადასხვა შეღავათების დაწესება და მათი წახალისება. ეს პროექტი ძველი ავტომობილების ახლით ჩანაცვლებას შეუწყობს ხელს, რაც ეკოლოგიის თვალსაზრისით სიტუაციას მეტ ნაკლებად გამოასწორებს.

გარდა ამისა „გაერთიანებული დემოკრატები“ არ ეთანხმებიან მთავრობის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით 1 აპრილამდე, გაზზე

მომუშავე ავტომობილების შემოწმება უნდა მოხდეს, ხოლო ვინც ტექდათვალიერების სპეციალურ საბუთს ვერ წარადგენს 100-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს. სპეციალური ნიშნის არმქონე მანქანებს კი გაზგასამართ სადგურზე დატუმბვის უფლებას არ მისცემენ. ფრაქცია მიიჩნევს, რომ მთავრობის ახალი დადგენილება კითხვებს ბადებს. ხელისუფლებამ უნდა შეიმუშავოს მოქმედების გეგმა, როგორ მივიდეთ ტექ-დათვალიერების ისეთ ნორმამდე, რომელიც გაითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ რეალიებს. ამ ეტაპზე ქვეყანა არაა მზად ამ ახალი რეგულაციისათვის, რაც ახალი კორუფციის საფრთხეებს გააჩენს.

მას შემდეგ რაც მერიამ, „სიტი პარკთან" არა ერთი ბრძოლა წააგო და წინა საარჩევნო დაპირება ვერ შეასრულა, რომელიც ქალაქიდან „სითი პარკის გაძევებას გულისხმობდა ფრაქციამ მერიას პრეზენტაციის სახით კონკრეტული გეგმა შესთავაზა, თუ როგორ უნდა მოახდინოს მისი სამართლებრივი სივრციდან გაძევება და თბილისში ახალი პარკირების მუნიციპალური სისტემის შექმნა. ამასთან ერთად, ფრაქციამ მერიას შესთავაზა მოეხდინა „სითი პარკის" 10 ლარიანი ჯარიმების ამნისტია, რომელთა ამოღებას აღნიშნული კომპანია მაინც ვერ ახორციელებს. ამნისტიის აუცილებლობა იქედან გამომდინარეობს, რომ ჯარიმები რიგ შემთხვევაში საქარე მინიდან იკარგება და მძოლმა მისი არსებობის შესახებ არაფერი იცის, ვიდრე საქმე ავტომობილის გაყიდვამდე ან გადაფორმებამდე არ მივა, რაც მას კონკრეტულ მომენტში გასაჩივრების საშუალებას უკარგავს.

„გაერთიანებული დემოკრატები" მუდმივად ახსენებენ თბილისის მთავრობას, რომ დედაქალაქში საზოგადოებრივ ტრანსპორტი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას თანამოქალაქეების უსაფრთხოების საკითხი, კერძოდ ფრაქციის მიერ არა ერთგზის იქნა აღნიშნული, აუცილებელია გაზზე მომუშავე ყვითელი მიკრო ავტობუსების ექსპლუატაციიდან ამოღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერ უბედურ შემთხვევაზე პასუხისმგებლობა მერიას დაეკისრება.

სასწრაფოდ უნდა გადაიხედოს წინა ხელისუფლების დროს ყვითელი მიკრო ავტობუსების კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც კორუფციულ ნიშნებს შეიცავს და კაბალურ პირობებში აგდებს, როგორც მძღოლს, ასევე მგზავს. გამართული საზოგადოებრივი ტრანსპორტი კი საცობების განტვირთვის ერთ- ერთი მექანიზმია.

და ბოლოს მერიის მთავარი იფრასტრუქტურული პროექტი პუშკინის ქუჩის ესტაკადა. პროექტი საკრებულომ გასული წლის ოქტომბერში მოიწონა და დაამტკიცა, 2015 წლის ბიუჯეტში კი მისი მშენებლობისთვის თანხებიც ჩაიდო, თუმცა დღემდე პროექტის ვიზუალური განხორციელება კვალვ ძველ ნიშნულზეა, არადა ქალაქის ეს ცენტრალური ნაწილი პიკის საათებში პარალიზებულია.

„გაერთიანებული დემოკრატები" სოციალური ქსელის დახმარებით მუდმივად კონტაქტობენ მოქალაქეებთან, შემნილია სპეციალური გვერდი, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია საკუთარი მოზარებისა დაფიქსირება. ხდება მათ მიერ მოწოდებული ინფრასტუქტური ხარვეზების (გაფუჯებული შუქნიშანი, ახდილი ჭა თუ ა.შ.) მერიის სამსახურებთან დროული მიწოდება და მათი აღმოფხვრა (50 შემთხვევა).

გასული წელს ფრაქციის დახმარებით საქართველოში პირველი ავტო-მუზეუმი გაიხსნა, სადაც 40 უნიკალური და რესტავრირებული ავტომობილია წარმოდგენილი. მოგვიანებით კი ფრაქციის ინიციატივით, ქუჩას სადაც მუზეუმი მდებარეობს ავტომუზეუმის ქუჩა ეწოდა.

განათლება, ჯანდაცვა და სოციალური სფერო:

ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის" სახელზე, მხოლოდ ბოლო 6 თვის განმავლობაში ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით 45 წერილი შემოვიდა, რომელზეც ფრაქციამ მყისიერი რეაგირება მოახდინა. ამ მიმართულებით ფრაქციამ კომისიისა და საკრებულოს სხდომებზე ბევრი ინიციატივა დააყენა. კერძოდ ფრაქციამ მოითხოვა, ლეიკემიიით დავადებულთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ასაკი გაიზარდოს, რადგან მერია ამ მიმართულებით გამოყოფილ თანხებს სრულად ვერ ითვისებს. ამ პროგრამის ფარგლებში კი გაცილებით მეტი ადამიანის გარდარჩენა იქნება შესაძლებელი.

კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც კომუნალური ვაუჩერის ყველა სოციალურად დაუცველზე გაცემას გულისხმობდა, ოპოზიციის აქტიურობით და მერიის კეთილი ნებით წარმატებით განხორციელდება.

„გაერთიანებული დემოკრატები" ბოლო ერთი წლის განმავლობაში მერიას მოუწოდებენ უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდოს ბაგა ბაღების

თემატიკას, რადგან ეს ჩვენი მომავალი თაობების აღზრდა-განათლებისათვის უმნიშვნელოვანესია. ამ მიმართულებით ფრაქციამ დააყენა ინიციატივა, რომ ბაღის აღმზდელებს პედაგოგის სტატუსი მიენიჭოთ და მუშაობის 2 ცვლიან გრაფიკზე გადაიყვანონ.

გარდა ამისა ფრაქციის ინიციატივით უახლოეს მომავალში აუცილებელია კერძო ბაღების აკრედიტაცია, რათა საჯარო და კომერციული ბაღები ერთ სისტემაში მოექცნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში განათლების სამინისტროს მიერ ინიცირებული კანონი, რომელიც გულისხმობს სავალდებულო წინა სასკოლო პროგრამის გავლას, კერძო ბაღებს ამ კანონის მიღმა ტოვებს და მომავალი სასწავლო წლიდან გარვეულ გაუგებრობასა და შეფერხებებს შექმნის. ფრაქცია კიდევ ერთხელ ახსენებს თბილისის მერიას, რომ 2015 წელს, განათლების სისტემა ახალ რეგულაციებისათვის არ იყო სათანადოს მომზადებული, რამაც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს , მშობლებსა და ბავშვებს დიდი პრობლემები შეუქმნა, მაშინ ოპოზიციის შენიშვნები და მოსაზრებები ხელისუფლებამ უგულველყო, ამიტომ აუცილებელია ახალი რეგულაციებისთვის დროულად დაიწყოს მომზადება და შემუშევდეს სამოქმედო გეგმა.

ამასთანავე ფრაქცია მოუწოდებს მერიას და გამგეობას აკონტროლონ სახელმწიფო დაქვემდებარებაში მქოფი სათამაშო მოედნები და ატრაქციონები, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში ბავშვები სერიოზულ ტრამვებს იღებენ. წლიდან წლამდე კი მათი შეკეთება ან დემონტაჟი არ ხდება. ამ თემაზე ფრაქციამ არა ერთი წერილი მოამზადა გამგეობების სახელზე.

ფრაქცია მუდმივად ჩართულია სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებსა და შეხვედრებში. აქტიურად ერთვება გენდერული თანასწორობის პრობლემატიკის შესწავლაში.

ამომრჩეველთან კონტაქტი:

ფრაქცია „გაერთიანებულმა დემოკრატები“ მოსახლეობას და ამომრჩეველს ყოველ კვირეულად ხვდებიან. ერთი წლის განმავლობაში დეპუტატები იმყოფებოდნენ დედაქალაქის ყველა რაიონში და ათობით ოჯახში. რამდენიმე შეხვედრა გაიმართა გლდანში და სოფელ გლდანში, სადაც ოპოზიციის აქტიურობის შემდეგ მაისურაძის ქუჩაზე

კანალიზაციისა და სავალი გზის რეაბილიტაციის პროექტი მომზადდა. ამავე რაიონში „გაერთიებული დემოკრატების“ ძალისხმევით 3 ადამიანს მედიკამენტების ხარჯები აუნაზღაურდათ. 7 მიკრ. რაიონში კი შიდა გზების დაგების პროცესი დაიწყო.

ჩუღურეთის რაიონში, ჩუბინიშვილის 40/ა-ში ოპოზიციის პროტესტისა თუ არა ერთი წერილის შემდეგ, ავარიული სახლის დემონტაჟი განხორციელდა. ჩიტაიას 27 „გაერთიანებული დემოკრატების“ ძალისხმევით ავარიული შენობა გარემონტდა. კაპიტალურად შეკეთდა აბაშიძის ქუჩა. ხეთაგურის ქუჩაზე კი მოსახლეობის თხოვნით სათამაშო მოედანი მოეწყო. სრულიად გასუფთავდა სამშენებლო ნაგვისაგან აფხაზეთის ქუჩა.

ისნის რაიონში მეტრომშენის დასახლებაში 2 ქუჩის (მათითაშვილი, 7 ქუჩის ზედა და ქვედა ნაწილი) რეაბილიტაცია განხორციელდა. ვაზისუბნის დასახლებაში საბავშვო ბაღთან წლების განმავლობაში მიტოვებული საკანალიზაციო ჭების დახურვა მოხდა. ჩოლოყაშვილი ქუჩის დასაწყისში გადაიჭრა შუქნიშნის არ არსებობის პრობლემა. გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის წერილის საფუძველზე ერთ-ერთი ავარიული სახლის რეაბილიტაცია დაიწყება ელიას ქუჩაზე. ქეთევან წამებული 78-ში კი კორპუსს ტექნიკური ლაბორატორია ჩაუტარდა. დადგინდა, რომ კორპუსი სასწრაფოდ საჭიროებს შეკეთებას. ასევე გაერთიანებული დემოკრატების ინიციატივით სოციალურად დაუცველი 5 მოზარდი ზაფხულში დასასვენებლად ბაკურიანში გაემგზავრა. ახლახანს კი, დოლაბაურის 2 ხევი მაცხოვრებლების განცხადება დაკმაყოფილდა, რომლის მიხედვით ახალ-აშენებული კორპუსის შლაგბაუმის დემონტაჟი განხორციელდება, რომელიც ხევის მოსახლეობის გზაზე გადაადგილებას აფერხებდა.

დიდუბის რაიონში, ევდოშვილის ქუჩაზე 2/10 ჩვენი წერილის საფუძველზე შიდა ეზო მოპირკეთდა.
ნაძალადევის რაიონში, თემქის 11 მკ.რ. ე. წ. „არაშენდას“ კორპუსში გარემონტდა სადარბაზო და მოპირკეტდა კორპუსის მიმდებარე ტერიტორია. ასევე თემქის 10 მკ. რ.მოსახლეობისა და „გაერთიანებული დემოკრატების“ ძალისხმევით მიტოვებულ საბავშვო მოედანს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ჩვენი წერილის საფუძველზე კი გამგეობამ ერთ ქალბატონს ოპერაციის თანხა დაუფინანსა.

სამგორის რაიონში ვარკეთილის 3 მიკროში „გაერთიანებული დემოკრატების“ დახმარებით დასახლება“ ლამპიონში“ მცხოვრებ სოციალურად დაუცველებსა და დევნილებს შიდა წყალგაყვანილობის სისტემა მოუწესრიგდა. ფრაქციის სხვა არა ერთი წერილის მიუხედავად, კი გამგეობა ავარიული კორპუსის შეკეთებაზე თუ სავალი გზის აღგენაზე პასუხად ბიუჯეტში თანხების არ ასებობას ასახელებს.

რაც შეეხება საბურთალოსა და მთაწმინდის რაიონს, გამგეობას როგორც ჩანს, ოპოზიციის აქტიურობა განსაკუთრებით აღიზიანებს ვინაიდან „გაერთიანებული დემოკრატების“ არცერთი წერილი, იქნება ეს გზის აღდგენა, სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარება თუ ავარიული სახლის გამაგრება არ დააკმაყოფილა.

13 ივნისის სტიქია:

ფრაქცია ივნისში მომხადარი სტიქიური უბედურების დროს აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო სოლიდარობის პროცესში. დეპუტატები ხვდებოდნენ, როგორც დაზარალებულ მოსახლეობას ასევე აქტიურად იცავდნენ მათ ინტერესებს საკრებულოში მიმდინარე შეხვედრების დროს. ფრაქცია დღემდე ატქიურად მოუწოდებს მერიას, რომ გამოინახოს სახსრები, რათა სტიქიის დროს დაუზღვეველი, ავტომობილების მეპატრონეებს ზარალი აუნაზღაურდეთ. გარდა ამისა გაერთიანებული დემოკრატები გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნევენ, 13 ივნისის ღამის დეტალური და გადაუდებელი ანალიზის გაკეთებას, რათა მომავალში მერიის სხავდასხვა სამსახურებმა თუ საპატრულო პოლიციამ იგივე შეცდომები აღარ გაიმეორონ და თავიდან ავიცილოთ მსხვრპლი.

ტენდერები, შესყიდვები, ერთ პირთან მოლაპარაკებები:

„გაერთიანებულ დემოკრატებს“ ბევრჯერ გვისაუბრია, მერიაში არასწორად ჩატარებულ თუ ჩაშლილ ტენდერებთან მიმართებაში და არა ერთხელ შეგვიხსენებია ხელისუფლებისათვის, რომ ამ მიმართულებით ბევრი უნებლიე თუ გამიზნული შეცდომებია, რაც სახელმწიფო ბიუჯეტზე მერიის საქმიანობასა და მომსახურების ხარისხზე ცუდად

აისახება. ფრაქციას კონკრეტული მაგალითებიც არა ერთხელ გაგვიჟღერებია, როგორც სხდომებზე ასევე ბრიფინგებსა თუ სატელევიზიო დებატებში, თუმცა ამ მიმართულებით არც მერიას გამოუხატავს დაინტერესება და არც მათ შემდგომ საქმიანობას დასტყობია.

მაგალითად, ტენდერებთან მიმართებაში გვხვდება ორმაგი სტანდარტი თბილისში გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე ჩატარებულ ტენდერებში, სადაც რიგ შემთხვევებში სატენდერო პირობებში, კომპანიას გამოცდილება მოეთხოვება, რიგ შემთხვევებში კი იგივე ტიპის სამუშაოს შესასრულებლად გამოცდილების პირობა არ დევს. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონი დამკვეთ ორგანიზაციას არ ავალდებულებს სატენდერო პირობებში გამოცდილება მოითხოვოს, თბილისის მერია კი ამ შეთხვევაში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე 1397 ათასი ლარის ღირებულების 7 ტენდერის გამოცხადებისას, რომელიც იდენტურ სამუშაოებსა და მოცულობას გულისხმობდა 3 ტენდერში გამოცდილება არ მოითხოვა, ხოლო 4 შემთხვევაში ეს აუცილებელ პირობად ჩადო. შედეგად მივიღეთ, რომ ტენდერებში, სადაც კომპანიებს გამოცდილება მოეთხოვებოდა ისინი კონკურენციის გარეშე ჩატარდა და საბაზრო ფასი გაცილებით მაღალი დაფიქსირდა, ვიდრე კონკურენციის პირობებში იქნებოდა. ამის კარგი მაგალითია კონკრეტულ გარემოში ჩატარებული აღნიშნული 3 ტენდერი, რაშიც ბიუჯეტმა 68 000 ლარი დაზოგა. აღნიშნული დიდ ეჭვებს ბადებს, რომ მის უკან შესაძლო კორუფციული დაინტერესება იდგას. თითოეული თეთრის დაზოგვა და მოფრთხილება რომ საჭიროა ის სესხიც ადასტურებს, რომელიც მერიამ მაღალ 10 პროცენტად აიღო, ეს მაშინ, რომ თავიდანვე ბიუჯეტი სწორად განაწილებულიყო ალბათ ამ სესხის აღება აღარ იქნებოდა საჭირო.

ოპოზიციის არა ერთგზის შენიშვნებისა თუ ფაქტების წარმოდგენის მიუხედავად, ტენდერები და ერთ პირთან მოლაპარაკებები მერიის სუსტ წერტილად კვლავ რჩება, რასაც ჩვენს მიერ შესწავლილი (1იანვრიდან -1 სექტემბრამდე) პერიოდის მონაცემები ცხადყოფს, რომ მერიის ცენტრალური აპარატმა სატენდერო წინადადებები გამოაცხადა 116 მილიონზე ლარზე, ხოლო 54 მილიონი ერთ პირთან მოლაპარაკებების გზით გახარჯა, რაც სატენდეროდ გამოტანილი ლოტების ჯამური თანხების 46 %- ია.

როდესაც თანხების უყაირათო ხარჯვასა და გაფლანგვაზეა საუბარი აუცილებლად უნდა შევეხოთ „თბილისის ახალგაზრდულ ოლიმპიადას“, რომლის ბიუჯეტიც ერთი წლის განმავლობაში 28 მილიონიდან 98 მილიონამდე გაიზარდა, ისე რომ არცერთ სხდომაზე ხარჯვითი ნაწილის ახსნა-განმარტება არც უმრავლესობას მოუსმენია და არც ოპოზიციას.

„გაერთიანებულმა დემოკრატებმა“ სწორედ ამიტომ, სარევიზიო კომისიას ინიციატივით მიმართა შეისწავლოს „თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიადისათვის“ გამოყოფილი თანხების ხარჯვის კანონიერება შესწავლილიყო აუდიტის სამსახურის მიერ.

მერია და ხარჯები:

ფრაქცია ამ ერთი წლის განმავლობაში მერიას ყოველთვის მიუთითებდა იმ ზედმეტ ხარჯებზე, რომელიც დედაქალაქის ბიუჯეტს მძიმედ აზარალებდა. მაგალითისათვის საკმარისია 2 ახალი ცენტრის შექმნა. „მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი“, რომლის შენახვა დედაქალაქს 1,9 ათასი ლარი უჯდება მიუხედავად იმისა რომ მგავსი სამსახური დუბლირებული ფუნქციებით დედაქალაქის მერიაში არსებობს და „თბილისის ახალგაზრდული ცენტრი“, რომლის შენახვა მოქალაქეებს ნახევარი მილიონი ლარი უჯდება.

როდესაც უყაირათო ხარჯვაზე ვსაუბრობთ არ შეიძლება არ შევეხოთ თბილისის მერიის და საკრებულოს ავტო-პარკს, რომლის შენახვაზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი იხარჯება. „გაერთიანებულ დემოკრატებს“ ორივე უწყების შემთხვევაში ჰქონდა ინიციატივა, რომლის განხორციელების შემთხვევაში ასობით ათასი ლარის დაზოგვა იქნებოდა შესაძლებელი. ფრაქციამ ამ იდეის განსახორციელებლად კონკრეტული გეგმაც წარმოადგინა და საკრებულოს გადაწყვეტილების მიღებამდე, თავად უარი განაცხადა პირადი ავტომობილის მოსახურებაზე. ინიციტივა გულისხმობდა, რომ 37 ავტომობილის ნაცვლად 19 ავტომობილი დარჩენილიყო, საიდანაც ავტო-პარკი პერსონალურად, მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარეს და მის 3 მოადგილეს მოემსახურებოდა. 5 ავტომობილი კვლავ აპარატის დაქვემდებარებაში იქნებოდა, დანარჩენი 10 ავტომობილი კი

საკრებულოს ტეპუტატებზე გადანაწილდებოდა სამსახურეობრივი საჭიროებისამებრ. ამ შემთხვევაში ჩვენი გაანგარიშებით ქალაქის ბიუჯეტი წელიწადში მინიმუმ 150 000 ლარს დაზოგავდა. აღარაფერს ვამბობთ დედაქალაქის მერიაზე, რომლის აღრიცხვაზე 267 ავტომობილია და რომლის წლიური ხარჯი (მძღოლების შრომის ანაზღაურება, სათადარიგო ნაწილები და საწვავი) 2,5 მილიონ ლარზე მეტია.

ბიუჯეტი და შენიშვნები:

2015 წლის ბიუჯეტის გადანაწილების პროცესში, ფრაქციამ 30 პუნქტიანი შესწორებები წარადგინა, თუმცა მათი უმრავლესობა მერიამ არ გათვალისწინა, რაც თბილისის მაცხოვრებლებზე უარყოფითად აისახა. რიგ შემთხვევებში თანხები არასწორად გადანაწილდა, რიგ შემთხვევებში კი თანხებიც არსებობდა თუმცა უუნარო მენეჯმენტის პირობებში პრობლემები უფრო გარღმავდა. ამის საუკეთესო მაგალითია გზები და დაუსრულებელი პროექტები. ახალი ცენტრის შექმნის მიუხედავად, არავითარი განვითარება არ გვაქვს მცირე მეწარმრობის ხელშეწყობის საკითხის ირგვლივ. მერიაში, რომ კადრების პროფესიონალიზმის ნაკლებობაა ამაზე მუდმივი და სკანდალური გადადგომებიც მოწმობს. კვლავ უმოქმედოა მერიის სატრანსპორტო სამსახური საცობებთან ბრძოლაში, უამბრავი პრობლემა დგას ბაგა ბაღების ირგვლივ, 2015 წლის ბიუჯეტში მეტ კონკრეტიკას ვითხოვდით კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაზარალებულებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვით ნაწილში, რაც 6 თვის ანგარიშში კვლავ არ ჩანს. გარადა ამისა, აუცილებელია მომავალი წლის ბიუჯეტში ავარიული კორპუსების შეკეთებისათვის გამოყოფილი თანხა გაიზარდოს, რადგან მხოლოდ ჩვენი ფრაქციის სახელზე მიმდინარე წელს ასეთი 60 წერილი შემოვიდა. იმედს ვიტოვებთ, რომ 2016 წლის ბიუჯეტში ამ ყველაფერთან ერთად გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შენახვის ხარჯების შემცირება, როგორც „შრომის ანაზღაურების", ისე „საქონელი და მომსახურეობების" მუხლში. ასევე შესამცირებელია თბილისის გამგეობების რაოდენობა 10-დან 6-მდე, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს საბიუჯეტო სახსრებს და საშუალებას მისცემს მერიას პირველადი ჯანდაცვისა თუ სხვადასხვა საჭირო მუხლების დაფინანსება გაზარდოს. გასაუქმებელია

უსაფრთხოების საქალაქო სამსახური, რომლის ფუნქცია და მოვალეობა ცენტრალურ სამართალდამცავ სტრუქტურებზე უნდა გადანაწილდეს, მათ უფრო, რომ დღევანდელი ხელისუფლება აღნიშნულ სტრუქტურას „უგულავას პირად დაცვას" უწოდებდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ეკონომიკური პრობლემატიკის გამოსწორებაზე, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე ვსაუბრობთ, ცალკე, თუნდაც ისეთ ქალაქში როგორიც თბილისია ეს პრობლემები ვერ გადაწყდება. საკითხი კომპლექსურ და ზოგად-სახელმწიფოებრივ მიდგომას საჭიროებს, ამიტომ მიგვაჩნია რომ ინვესტიციების მოსაზიდად, მცირე-საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად სხვა ნაბიჯების გადადგმაც აუცილებელია, რომელიც როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე მისი ერთ-ერთი უმსხვილესი ნაწილის, დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების გამოცოცხლებას და პროგრესს შეუწყობს ხელს. მიგვაჩნია რა, რომ გასატარებელია საბიუჯეტო ხარჯების მკვეთრი შემცირება, რადგან საქართველოს ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ ყველა დონეზე ძალიან „ძვირიანი" მენეჯმენტი გვყავს. შესამცირებელია როგორც მათ შენახვაზე გათვალისწინებული ხარჯები, ისე რაოდენობა. საბიუჯეტო ხარჯების შემცირება პირველ რიგში უნდა შეეხოს შრომის ანაზღაურების მუხლს, რომლის პარამეტრები ყველა დონის ბიუჯეტში დაახლოებით 40-45%-ითაა გაზრდილი პრემია-დანამატის კომპონენტით, ასევე საქონელი და მომსახურეობის მუხლი და სახელმწიფო მენეჯმენტისთვის კაპიტალური ხარჯების გაწევის კომპონენტში კაპიტალური ხარჯების მუხლი (არაფინანსური აქტივების ზრდა, რომელიც მოიცავს მათ შორის ავტომანქანების შეძენას, ძვირადღირებულ ავეჯს და ტექნიკას და სხვა და სხვა). ყველა ზემოაღნიშნულით ხარჯების შემცირებით შესაძლებელია ქვეყანაში რამდენიმე ასეული მილიონი ლარის დაზოგვა.

აღნიშნულთან პარალელურად უნდა განვიხილოთ ერთ-ერთი მთავარი გადასადგმელი ნაბიჯი: გადასახადების ეტაპობრივი (სამ წლიანი) შემცირება. საშემოსავლო გადასახადის შემცირება 20%-დან 12%-მდე, მოგების გადასახადის შემცირება 15%-დან 10%-მდე და დივიდენდის მიღებიდან დასაკავებელი ანარიცხის შემცირება 5-დან 2 პროცენტამდე მიზეზი ისაა, რომ სხვანაირად, ჩვენ რეგიონში ვერ მოვახერხებთ მხვილი ინვესტიციების მოზიდვას. ვერ ვიქნებით კონკურენტუნარიანი.

ჩასატარებელია მსხვილი პრივატიზაცია. პირველ რიგში ეს უნდა შეეხოს მსხვილ ობიექტებს. გასაუქმებელი და გასაყიდია პრაქტიკულად ყველა

სახელმწიფო შპს, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ, მუნიციპალიტეტის დონეზე. რეორგანიზაციებია ჩასატარებელი უმრავლეს სსიპ-ში, რომლის ფარგლებშიც, ბევრი სსიპი განსახელმწიფოებრიობას უნდა დაექვემდებაროს და ა.შ. ზოგადად არანორმალურია როდესაც კერძო სექტორში (საბანკო სექტორის გარდა, ისიც თუ არ ჩავთვლით სახელმწიფო სექტორში გაცემული პრემია-დანამატების კომპონენტს) ხელფასი გაცილებით ნაკლებია ვიდრე სახელმწიფო სექტორში. გასაუქმებელია ყველა სახელმწიფო მარეგულირებლები. არაფრისმაქნისი, დარგობრივი სამინისტროების დანამატები. აუცილებელია ბევრი დარგობრივი სამინისტროს გაუქმება და შერწყმა მაგალითად: სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს შერწყმა კულტურის სამინისტროსთან, რომლის საერთო რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს ვთქვათ 30 მენეჯერს. თუ რაიმის დახმარება გვინდა, დაფინანსება არა სამინისტროების მეშვეობით, არამედ ფედერაციების და პროგრამების მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს. ასევე, ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შემდეგ, ნონსენსია სამხარეო გუბერნატორები. არაერთი მილიონი ლარი მხოლოდ ამ უსაქმურ, ხორცმეტ სტრუქტურის გაუქმებაზე დაიზოგება.

პატივიცემით,

ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“

თავჯდომარე: ზაზა ვეკუა

საკრებულოს წევრი: თამარ ცინცაბაძე

საკრებულოს წევრი: შალვა ოგბაიძე